საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აია

აია (ბერძნ. Aia), კოლხეთისა და მისი ქალაქის (ზოგჯერ დედაქალაქის) სახელწოდება ანტ. ხანის ავტორების მიხედვით.

ჰეროდოტე და აპოლონიოს როდოსელი ა-ს ხმარობენ კოლხეთის სინონიმად („აია-კოლხიდა“); ევმელე კორინთელი (ძვ. წ. VIII ს.), ფერეკიდე (ძვ. წ. VI ს.), ლიკოფრონ ქალკიდელი (ძვ. წ. III ს.) და სხვ. ა-ს ქალაქად მიიჩნევენ, თუმცა ზუსტ ადგილმდებარეობას ვერ მიუთითებენ. მას შემდეგ, რაც კოლხეთი უკეთ გაიცნეს, ბერძენ-რომაელი მწერლები შეეცადნენ დაედგინათ ამ მითური ქალაქის ადგილმდებარეობა. პლინიუსისა და სტეფანე ბიზანტიელის აზრით ა. მდებარეობდა ზღვის მოშორებით მდ. ფაზისის ნაპირზე, კლავდიოს პტოლემეს აზრით – ზღვის სანაპიროზე, მდ-ების ენგურისა და ხობის შესართავებს შორის, ნიკანორ ალექსანდრიელი კი (ახ. წ. II ს.) დიოსკურიასთან აიგივებს. რეალურად ასეთი ქალაქის არსებობა არაა სავარაუდებელი. იხ. აგრეთვე არგონავტების თქმულება.

ლიტ.: ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

ნ. ლომოური